



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #007/18¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

შალვა მხეიძე (სტუდენტი)

ფაქტები:

2017 წლის 9 დეკემბერს, სპორტის სასახლეში (შემდეგში *საარჩევნოსივრცე*), გაიმართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის არჩევნები. არჩევნების მიმდინარეობის პროცესში, ადვოკატი დ.ლ (შემდეგში *ადვოკატი*) შემოვიდა მოედანზე, სადაც ხმის მიცემა მიმდინარეობდა, გააკეთა ხმამაღალი განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ არჩევნები ყალბდებოდა, ელექტრონერგია უნდა ჩამქვრალიყო და ამის გამო, ადვოკატთა ასოციაციის თავჯდომარეს, ზ.ხ-ს, (შემდეგში *ასოციაციის თავჯდომარე*) მოსთხოვა საარჩევნო ყუთების დალუქვა. აღნიშნული განცხადების გაკეთების შემდეგ, ელექტრონერგია გაითიშა საარჩევნო სივრცის მიმდებარედ და უშუალოდ საარჩევნო სივრცეში, კერძოდ, ფოიეში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ადვოკატმა თავისი კოლეგისგან, ადვოკატ ნ.ქ-სგან, მიიღო. უშუალოდ დარბაზში, სადაც ხმის მიცემის პროცესი მიმდინარეობდა, განათება მცირედ შესუსტდა, თუმცა არ ჩამქრალა. დ.ლ-მ მედიასთან გააკეთა შემდეგი შინაარსის განცხადება, „შუქი ქრება. გადაიდო, სპეციალურად გადაიდო 10-15 წუთით, რომ შუქი ჩააქრონ. მე არ ვიცი ვინ გადადო. რატომ უნდა ჩაქრეს შუქი ზუსტად 8 საათზე, როცა მორჩა არჩევნები, სასწრაფოდ დალუქეთ ყუთები. მანამდე უნდა დალუქულიყო ყუთები, რომ მორჩა კენჭისყრა. ჩაქრა შუქი, იუპიესზეა გადასული განათების სისტემა“.

სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ (შემდეგში *კომისია*) უნდა განსაზღვროს, არის თუ არა სახეზე ადვოკატის მხრიდან, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში *აქვე*) მე-7 მუხლის, რაც გულისხმობს პროფესიული ღირებულებების დაცვასა და კოლეგებისადმი პატივისცემას, შესაძლო დარღვევა. ადვოკატი, როგორც თვითრეგულირებადი და თავისუფალი პროფესიის პირი, ქცევით ხელს უნდა უწყობდეს ადვოკატთა როლის გამლიერებას მართლმსაჯულების სისტემაში და საზოგადოების ნდობის მოპოვებას ადვოკატის პროფესიის მიმართ. ადვოკატს კოლეგების მიმართ განსაკუთრებული ვალდებულებები აქვს, მათ შორის არ შელახოს მათი პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ... კოლეგიალობის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრება კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ადვოკატის კოლეგიალობის დაცვის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში იმ ძირითად უფლებებთან, რომლითაც ადვოკატი, როგორც მოქალაქე, სარგებლობს. განსახილველ შემთხვევაში შესაძლებელია კონკურენცია არსებობდეს კოლეგიალობის პრინციპსა და გამოხატვის თავისუფლებას შორის. ეთიკის კომისია პრაქტიკით ადვოკატთა გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს ადგენს, რომელიც ვრცელდება იურიდიული პროფესიის მქონე პირების მიმართ. წინამდებარე შემთხვევაში, ერთი შეხედვით, კოლეგიალობის პრინციპი არ არის გამოსაყენებელი საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას არჩევნებში მონაწილე კანდიდატის ქცევაზე, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატის ქცევით შესაძლოა ზიანი ადგებოდეს ადვოკატთა კორპუსის კორპორატიულ ინტერესს - მოიპოვოს საზოგადოების ნდობა პროფესიის მიმართ, ამ კუთხით პროფესიის იმიჯის შესაძლო შემლახველი განცხადება ან ქცევა უნდა დაექვემდებაროს კოლეგიალობის პრინციპით

¹ გადაწყვეტილების სრული ვერსია

გათვალისწინებულ შეზღუდვებს, თუ ასეთ განცხადებას თუ ქცევას ჰქონდა ადგილი. კომისიამ, საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევის და ურთიერთშეჯერების შემდეგ, აღნიშნა, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებული მოქმედებები წარმოადგენს მის სუბიექტურ შეფასებას, რომელიც მან გააკეთა კოლეგებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და რომელიც მიზნად ისახავდა საარჩევნო პროცესის დაცვას გაყალბებისგან. სადავო განცხადებები არ შეიცავდა რომელიმე კონკრეტული ადვოკატის მისამართით ან პროფესიისთვის შეურაცხყოფელ ფრაზებს. შესაბამისად, აღნიშნული განცხადებები დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

დასკვნა:

კომისიამ დაადგინა, რომ სახეზე არ არის ადვოკატის მხრიდან აპეკ-ის მე-7 მუხლის შესაძლო დარღვევა.

განსხვავებული აზრი:

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე განსხვავებული აზრი წარმოადგინა კომისიის წევრმა კონსტანტინე გელაშვილმა (*შემდეგში კომისიის წევრი*). მან აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, კერძოდ, ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე უარის თქმას, თუმცა გადაწყვეტილების დასაბუთების ნაწილში მისი მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის გამო დააფიქსირა ნაწილობრივ განსხვავებული აზრი.